განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2-3 ნოემბერი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 15 დეკემბერი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკის მეცნიერება Political Science
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი, დონე 6
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Arts in Political Science
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები; 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	---
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე	ივანნა მაჩიტიძე (ა(ა)იპ -

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი	დავით გეგეჭკორი (სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი	ირაკლი გორგილაძე (სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი	თამთა ცხოვრებაძე (შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი	ნანა ფირცხელანი (შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1992 წელს დაარსდა, ხოლო 2005 წელს გახდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნაწილი. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია და ხორციელდება 2011 წლიდან. იგი ორიენტირებულია პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ცალკეული სუბ-დისციპლინების (პოლიტიკური თეორია, შედარებითი და საჯარო პოლიტიკა, მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია და მეთოდოლოგია) შესახებ მრავალმხრივი და თეორიული ცოდნის გადაცემაზე; ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზის უნარების გამომუშავებაზე; ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით დარგობრივი საქმიანობის უნარის და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში ინდივიდუალური ხედვის ჩამოყალიბებაზე.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლა გააგრძელოს ან დასაქმდეს საჯარო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიებში, ასევე კერძო სექტორშიც.

პროგრამით უზრუნველყოფილი ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი მყარ ფუნდამენტს ქმნის ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევისათვის. უფრო მეტიც, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის საკვანძო შემადგენელი ნაწილია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ასევე ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურ ბმაშია პროგრამის მიზნებთან და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა/ავტონომიურობას. კურსდამთავრებულთა მიღებული კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 35%, რაც დასტურდება უსდ-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, ასევე პროგრამის დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად. ხაზგასასმელია, რომ კურსდამთავრებულთა 67% სწავლას აგრძელებს სამაგისტრო საფეხურზე. ამავე მაჩვენებელს ადასტურებს 2021 წლის ბაზრის შრომის კვლევის შედეგები. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. აქედან გაომდინარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: *საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები* (გათვალისწინებული 50 კრედიტიდან 25 კრედიტი უნდა დაგროვდეს საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსებით, ხოლო 15 კრედიტი - შესავალი კურსებით; 10 კრედიტი - საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსებით). *ძირითადი სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილია 120 კრედიტი,* რომლის 60 კრედიტი გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, ხოლო დარჩენილი 60 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. *პროგრამის 10 კრედიტის ფარგლებში* სტუდენტს შეუძლია გაიაროს მისთვის საინტერესო სასწავლო კურსები ბაკალავრიატის საფეხურზე ან გამოიყენოს აღნიშნული კრედიტები გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში გამოიყენება პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელება ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერების" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შესახებ“. ამავე დოკუმენტის საფუძველზე, ექსპერტთა გუნდს გადმოეგზავნა დაწესებულების მიერ გამზადებული დოკუმენტაცია პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით. აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (თავმჯდომარე - ივანნა მაჩიტიძე - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი; წევრი - ირაკლი გორგილაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; წევრი - დავით გეგჭკორი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; წევრი - განათლების ექსპერტი - თამთა ცხოვრებაძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; სტუდენტ-ექსპერტი - ნანა ფირცხელანი - კავკასიის უნივერსიტეტი) წინამოსამზადებელი შეხვედრა ZOOM პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი კითხვების დაზუსტება აკრედატაციის სტანდარტების მიხედვით.

დღის წესრიგის მიხედვით, ორი დღის განმავლობაში დაიგეგმა გასაუბრებები *სამივე პროგრამის* შემთხვევაში შემდეგ ჯგუფებთან:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;
- თვითშეფასების ჯგუფი;
- პროგრამის ხელმძღვანელები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- პროგრამის სტუდენტები;
- პროგრამის კურსდამთავრებულები;
- პოტენციური და არსებული დამსაქმებლები.

ასევე, ონლაინ რეჟიმში შემოწმდა განახლებული პროგრამით ბიბლიოთეკაში ლიტერატურის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა, ასევე LMS-ის ელექტრონული სასწავლო პორტალის და Moodle-ის ფუქნციონირება, სადაც სტუდენტებს შეუძლია ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით (კომპიუტერის ეკრანის გაზიარების მეშვეობით). პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუები განხორციელდა კონსტრუქციულად, ეთიკური ნორმების დაცვით; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესში, რათა მიეღო ამომწურავი ინფორმაცია პროგრამის სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებაზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 1.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.6. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- რეკომენდებულია, საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ეკონომიკა“ და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ გახდეს სავალდებულო, რათა უკეთ იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი სუბ-დისციპლინების ობიექტებსა და განვითარების დინამიკის შესწავლის ნაწილში;

- სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შინაარსის უფრო ეფექტიანი ათვისებისათვის, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები რიგი საგნების შემთხვევაში: სავალდებულო სასწავლო კურსების „პოლიტიკური კომუნიკაცია“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, ასევე არჩევითი სასწავლო კურსების „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“, „პოლიტიკური ანთროპოლოგია“, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „პოლიტიკური კულტურა“, „დემოკრატიზაცია და ტრანზიცია“ შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“; „გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები“ არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს „მსოფლიო პოლიტიკა“; „კავკასიის შედარებითი პოლიტიკის“ არჩევით სასწავლო კურსს წინაპირობად დაემატოს „შედარებითი პოლიტიკა“.

2.3. სასწავლო კურსი

- რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „არჩევნები და საზოგადოება“, „გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში“, „გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა“, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა“, „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ და სხვა, რეკომენდებულია, აქტივობის კომპონენტის შეფასების გადახედვა (დასწრებას ენიჭება ცალკე ქულა).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

2.3. სასწავლო კურსი

- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებს დაემატოს ხელმძღვანელის შეფასება გარდა 2 რეცენზენტის და კომისიის შეფასებისა. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ განხორციელებული კვლევის, მისი თითოეული ეტაპის, განსაკუთრებით კვლევის დიზაინის დაგეგმვის, ადეკვატურ, უწყვეტ და ეფექტიან შეფასებას;

- ისეთ სასწავლო კურსებში, რომლებიც მიმართულია ხშირად ცვლებადი პროცესების შესწავლაზე (მაგ.ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია; რეგიონალური პოლიტიკის სასწავლო კურსები), და ქართულენოვანი ლიტერატურის განახლება პრობლემურია, სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გზამკვლევების, ასევე წამყვანი ანალიტიკური ცენტრების პოლიტიკის დოკუმენტების და ანგარიშების გამოყენება, რომლებშიც ასახულია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ბოლო ვითარებების ანალიზი.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

- სასურველია, მოხდეს სასწავლო პერსონალსა და სტუდენტებს შორის სწავლის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების გზების უნიფიცირება, რაც უზრუნველყოფს დროის სწორ მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესის მაქსიმალურად ეფექტიანად წარმართვას;
- უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაღრმავდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობები, რათა სტუდენტებს მიეცეთ საკუთრი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.

4.3. მატერიალური რესურსი

- სასურველია, უსდ-მ სტუდენტები უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო მასალით.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე:

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე:

„პოლიტიკის მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესის ფარგლებში წარდგენილი დასკვნის ძირითადი ნაწილი უცვლელი რჩება.

ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილ პოზიციაში დაწესებულების მიერ მოყვანილი არგუმენტები, რის შედეგადაც მოხდა შემდეგი ცვლილებები:

- *ნაწილობრივ გათვალისწინებულია* დაწესებულების პოზიცია 2.2. ქვესტანდარტის პირველი რეკომენდაციის შემთხვევაში. რეკომენდაციის საბოლოო ფორმულირება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „რეკომენდებულია, საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ეკონომიკა" და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები" გახდეს სავალდებულო, რათა უკეთ იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი სუბ-დისციპლინების ობიექტებსა და განვითარების დინამიკის შესწავლის ნაწილში";

- *2.3. ქვესტანდარტის რეკომენდაცია* „ისეთ სასწავლო კურსებში, რომლებიც მიმართულია ხშირად ცვლებადი პროცესების შესწავლაზე (მაგ.ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია; რეგიონალური პოლიტიკის სასწავლო კურსები), და ქართულენოვანი ლიტერატურის განახლება პრობლემურია, რეკომენდებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გზამკვლევების, ასევე წამყვანი ანალიტიკური ცენტრების პოლიტიკის დოკუმენტების და ანგარიშების გამოყენება, რომლებშიც ასახულია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ბოლო ვითარებების ანალიზი" *გადატანილი იქნა რჩევების ნაწილში.*

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- *საუკეთესო პრაქტიკად* მიგვაჩნია პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო მობილობის პროცესებში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლონ პოლიტიკის მეცნიერების დარგის შესწავლის საერთაშორისო გამოცდილება;

- *საუკეთესო პრაქტიკად* მიგვაჩნია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის შემოთავაზებული საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციების რაოდენობა, რომელიც ორგანიზებულია უნივერსიტეტის მიერ როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობით.

- *საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია* პროგრამის მიერ შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების შთამბეჭდავი არჩევანით შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური თეორია; შედარებითი პოლიტიკა, რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა; საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება; სამოქალაქო განათლება და აქტივიზმი.

- *საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია* პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტისა და შიდა ექსპერტირების

პროცესის ეფექტური ფუნქციონირება, დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობის შესაბამისად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამამ 2011 წლიდან მოყოლებით განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებმაც გააძლიერა როგორც პროგრამის კონცეპტუალური მხარე, ასევე პროგრამის შემუშავების, განახლებისთვის თითოეული საკვანძო ეტაპი, როგორიცაა პროგრამის მიზნების განახლება, თანამედროვე აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით სწავლი შედეგების ჩამოყალიბება, მათი გაზომვის უწყვეტი მექანიზმი, რომელიც მოიცავს ყველა დაინტერესებული მარის აქტიურ ჩართულობას. ასევე, კურიკულუმის რუქის მეშვეობით დაინერგა სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლის შედეგების შესაბამისობა საფეხურის მოთხოვნებთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური ბმა. მისასალმებელია ისეთი უნივერსიტეტების წარმომადგენლების ჩართულობა პოლიტიკის მეცნიერების სამივე პროგრამის განვითარებაში, როგორიცაა სტირლინგის, კარლეტონის და კემბრიჯის უნივერსიტეტები. აკადემიური კეთილსინდისიერების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, შეძენილი იქნა ტექსტის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა Turnitin. სტუდენტს, აკადემიური პერსონალს და ადმინისტრაციას შორის ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების მიზნით დაინერგა სწავლების ელქეტრონული ინსტრუმენტები როგორიცაა LMS, Moodle.

შთამბეჭდავია პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიერ არჩევითი სასწავლო კურსების თემატური ჯგუფების მრავალფეროვნება, სუბ-დისციპლინების მიხედვით სასწავლო კურსების არჩევანი.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ბოლო აკრედიტაციის შემდეგ ხაზგასასმელია, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა რეგულარულად გამოიყენება პოლიტიკის მეცნიერების დარგის სხვა უსდ-ების პროგრამების მიერ, როგორც საუკეთესო გამოცდილების მატარებელი. პროგრამამ თავი მოუყარა დარგში წამყვან სპეციალისტებს, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის სტატუსით. აღსანიშნავია პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიერ როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა მათი კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში, შთამბეჭდავია საერთაშორისო მხარდაჭერით პროექტებში მონაწილეობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ექსპერტთა ჯგუფის დისტანციურ ფორმატში ვიზიტის, ასევე დაწესებულების მიერ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის აღწერილობიდან ირკვევა, რომ იგი ორიენტირებულია პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ცალკეული სუბ-დისციპლინების (პოლიტიკური თეორია, შედარებითი და საჯარო პოლიტიკა, მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია და მეთოდოლოგია) შესახებ მრავალმხრივი და თეორიული ცოდნის გადაცემაზე; ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზის უნარების გამომუშავებაზე; ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით დარგობრივი საქმიანობის უნარის და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში ინდივიდუალური ხედვის ჩამოყალიბებაზე. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლა გააგრძელოს ან დასაქმდეს საჯარო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიებში, ასევე კერძო სექტორშიც. პროგრამით უზრუნველყოფილი ადამიანური, ფინანსური, მეტერიალურ-ტექნიკური რესურსი მყარ ფუნდამენტს ქმნის ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევისათვის. უფრო მეტიც, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის საკვანძო შემადგენელი ნაწილია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ასევე ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება. როგორც სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენელი ნაწილი, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა იზიარებს ფაკულტეტის მისიას, რომელიც ხაზს უსვამს მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურულ - საგამანათლებლო ტრადიციებს; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობას ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების გზით; კონკურენტუნარიანი

კადრების მომზადებას და სასწავლო–კვლევითი საქმიანობის განვითარებას.

ხაზგასასმელია, რომ უსდ-ს და სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მხრივ წამყვანი როლის გათვალისწინებით, პოლიტიკის მეცნიერების როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, შემუშავდა პროგრამების ინტერნაციონალიზაციის 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოური უნივერსიტეტების პოლიტიკის მეცნიერების პროგრამებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმებას, პოლიტიკის მეცნიერების ინსტიტუტებთან და პროგრამებთან ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების ორგანიზებას, წამყვანი ექსპერტების საჯარო ლექციებზე მოწვევას, მათი სასწავლო კურიკულუმში ჩართულობას, ერთობლივი ხარისხის მქონე პროგრამაზე მუშაობის დაწყებას და ფორმულირებას. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის მიერ გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვას, პოლიტიკის მეცნიერების საბაკავრო პროგრამა მის მიერ შექმნილი ინტელექტუალური რესურსის საფუძველზე ასევე ხელს უწყობს უსდ-ს ჩამოყალიბებას როგორც ევროპული ღირებულებების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრის.

საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია დაეფუძნა დამსაქმებლებთან შეხვედრების ციკლის პირობებში, ასევე კურსდამთავრებულების მიერ გაზიარებული მოსაზრებების საფეძველზე მიღებულ მონაცემებს. რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, შრომის ბაზარზე საბაკალავრო საფეხურის პოლიტიკის მეცნიერების კურსდამთავრებულები მოთხოვნადია. რელევანტური სფეროს ყოველი მესამე ორგანიზაცია მზად არის დაასაქმოს პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებული, როდესაც ამ კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულებეზე მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალი არასამთავრობო სექტორისა და მედიის სფეროებშია. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მიერ გაზიარება დარგისთვის რელევანტური შრომის ბაზრის მოთხოვნების და ტენდენციების. შესაბამისად, პროგრამის მიზნების შემუშავების დროს გათვალისწინებულია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები. აღნიშნული კვლევა ფარავს ორ სამიზნე ჯგუფს: ერთი მხრივ დამსაქმებლებს და მეორე მხრივ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, რომლებიც მათი გამოცდილებიდან გამომდინარე შრომის ბაზრის მოთხოვნებს კარგად იცნობენ.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა ჩამოყალიბებული კონცეპტუალური ხედვით, მისი განხორცილებისთვის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალით და ფარავს მის ყველა ქვე-მიმართულებას, რომელიც პირველ რიგში პოლიტიკურ მეცნიერებებს უკავშირდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ უსდ-ს ვებ გვერდი - მისია, ხედვა, ღირებულებები; ○ სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია; ○ საბაკალავრო პროგრამისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი; ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად დადასტურდა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური ხასიათი. ის შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ *ცოდნას, უნარებს* და *პასუხისმგებლობასა/ ავტონომიურობას,* რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას პოლიტიკის მეცნიერებაში საბაკალავრო პროგრამის მიერ. ამდენად, შედეგების *ცოდნა-გაცნობიერების* ნაწილში აქცენტი კეთდება პოლიტიკის მეცნიერებისა და მისი ძირითადი სუბ-დისციპლინების შესწავლის ობიექტებსა და განვითარების დინამიკის აღწერაზე; პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი ცნებების, თეორიებისა და მოდელების შედარებაზე; პოლიტიკის მეცნიერების თეორიის ძირითადი იდეებისა და პრობლემატიკის გამოკვეთაზე.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აღჭურავს შემდეგი უნარებით: პოლიტიკის მეცნიერებაში შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიისა და დიზაინის გამოყენებით, მეორეულ ინფორმაციის შეგროვება, დაორგანიზება და ახსნა; საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკური სისტემების განვითარების კანონზომიერებებსა და პოლიტიკური იდეოლოგიების მახასიათებლების გაანალიზება; პოლიტიკური მოძღვრებების ისტორიის საკითხების თანამედროვე საჯარო პოლიტიკური პროცესის გამოწვევებთან დაკავშირება; პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების განხილვისას, პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებების ამოცნობა.

ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიური დარგის შესაბამის პრაქტიკულ და კვლევით ნაშრომების მომზადება; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებისა და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახელება; სამომავლო პროფესიულ საქმიანობის დაგეგმვა სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.

აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დადასტურდა პროგრამის შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებელების. ნათლად ჩანს პროგრამაში ჩართული პირების უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეებისთვის სწავლის შედეგების გაცნობის უზრუნველყოფას, რაც დასტურდება ხელმისაწვდომი თვითშეფასების ჯგუფის და ფაკულტეტზე არსებული პროგრამის აკრედიტაციის კომიტეტის შეხვედრების ოქმებით.

ყურადღება მისაქცევია პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა მიღებული კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებლის შემთხვევაში, რომელიც შეადგენს მხოლოდ 35%, რაც დასტურდება უსდ-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, ასევე პროგრამის დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად. ამავე დროს, კურსდამთავრებულთა 67% სწავლას აგრძელებს სამაგისტრო საფეხურზე. ამავე მაჩვენებელს ადასტურებს 2021 წლის ბაზრის შრომის კვლევის შედეგები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავადგინოთ პოლიტიკის მეცნიერების დარგის მოთხოვნების და გამოკითხული დამსაქმებლების რეკომენდაციების გაზიარება პროგრამის სწავლის შედეგების შედგენის დროს.

დარგისთვის რელევანტური ყოველი მესამე ორგანიზაცია მზად არის დაასაქმოს პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებული, როდესაც ამ კვალიფკაციის მქონე კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალი

არასამთავრობო სექტორისა და მედიის სფეროებშია. გამოკითხვების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ დასაქმების პროცესში ყველაზე დიდ გამოწვევას გუნდური მუშაობის უნარის ქონა წარმოადგენს, ასევე პრაქტიკული უნარებიც. მისასალმებელია, რომ შრომის ბაზრის ანალიზის მოთხოვნების იდენტიფიცირება განხორციელდა კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების შემდეგ ჯგუფებად გადანაწილების გზით: საჯარო სექტორის, არასამთავრობო და კერძო სექტორის ორგანიზაციები.

აქვე აღსანიშნავია, სწავლების პროცესის შეფასების ჰარმონიზაცია როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებთან (ცოდნა/გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა), უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მისიასთან და დებულებასთან, პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, კურიკულუმთან და სწავლება-სწავლის მეთოდებთან. ამდენად, სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც *პირდაპირი* (სემესტრის ბოლოს სტუდენტების თვითშეფასების შედეგები, რომელზეც პასუხისმღებელია სასწავლო კურსის ლექტორი/ლექტორები; პროგრამის ხელმძღვანელი), ასევე *არაპირდაპირი* მეთოდები (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები ხორციელდება წელიწადში 3-ჯერ და მასში მონაწილეობას იღებენ პროგრამის სხვადასხვა სემესტრის სტუდენტები; ხოლო კურსდამთავრებულთა შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 8 თვისა). ყოველი ფოკუს ჯგუფის შემდეგ, ხორციელდება ძირითადი მიგნებების იდენტიფიცირება და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ იწერება რეკომენდაციები და მისი შესრულებაზე, მონიტორინგი ევალება პროგრამის ხელმძღვანელს.

ხაზგასასმელია ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამების შედგენისას, როგორც მიზნები, ისე შედეგების და კურიკულუმის შედარებითი ანალიზი. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კემბრიჯის, სტერლინგის და მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯიდან სპეციალურად მოწვეული აკადემიური პერსონალის გამოცდილებამ. შედეგად, სასწავლო პროგრამაში მოხდა პოლიტიკური მეცნიერების ოთხ თემატურ კონცენტრაციად გადაჯგუფება: საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება, პოლიტიკური თეორია, შედარებითი პოლიტიკა - რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა და სამოქალაქო განათლება და აქტივიზმი. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის დადებითი შეფასება დასტურდება მხარდაჭერის წერილებით მალმოს, პიტსბურგის უნივერსიტეტებიდან და მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯიდან.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს შედეგების მიღწევის შეფასების პროცესი (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით.) უსდ-ს გამიჯნული აქვს *გაცნობის*, *გაღრმავების* და *განმტკიცების* დონეები, რომელიც განსაზღვრულია პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტის შემთხვევაში მისი სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე.

პროგრამის დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში ცოდნის და უნარების მიღწევის შეფასების პროცესში გამოიყენება სამიზნე ნიშნულები - თითო შეფასების კომპონენტის შემთხვევაში მინიმალური ბარიერი, რომელიც სტუდენტმა უნდა გადალახოს. ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან

გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პოლიტიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევა (2021); ○ საბაკალავრო პროგრამის აკადემიური მოსწრების ანალიზი 2020-2021 გაზაფხული; ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია; ○ სწავლის მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა; ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებებთან, დამსაქმებლებთან; ○ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; ○ კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი ოქმები (პროგრამის რეაკრედიტაციის კომიტეტის ოქმი; ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები); ○ გარე შეფასება და შიდა ექსპერტიზის დამადასტურებელი დოკუმენტები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობებზე ინფორმაცია განთავსებულია როგორც პროგრამის აღწერილობაში, ასევე თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამაზე მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ გვერდზე. *პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოიპოვება პროგრამის აღწერილობაში, კერძოდ, ჩამოთვლილია შემდეგი დაშვების პირობები:* საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან

გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკას და მაღალი კონკურენციის პირობებში ნამდვილად უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პოლიტიკიც მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა;
- პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სოცუალურ და პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით (იხ. ინდიკატორები).

საბაკალავრო პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: *საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები* (გათვალისწინებული 50 კრედიტიდან 25 კრედიტი უნდა დაგროვდეს საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსებით, ხოლო 15 კრედიტი - შესავალი კურსებით; 10 კრედიტი - საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსებით). *ძირითადი სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილია 120 კრედიტი,* რომლიდან 60 კრედიტი გათვალისწინებულია სავალდებულო, ხოლო დარჩენილი 60 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. *პროგრამის 10 კრედიტის ფარგლებში* სტუდენტს შეუძლია გაიაროს მისთვის საინტერესო სასწავლო კურსები ბაკალავრიატის საფეხურზე ან გამოიყენოს აღნიშნული კრედიტები გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით.

თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ სტუდენტების გამოკითხვების და ფოკუს-ჯგუფების უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე რეაკრედიტაციისთვის წარდგენილ პროგრამაში გაზრდილია სავალდებულო სასწავლო კურსების რაოდენობა, რათა პოლიტიკის მეცნიერების ყველა შესაბამისი მამართულებები (პოლიტიკური თეორია, შედარებითი და საჯარო პოლიტიკა, მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია და მეთოდოლოგია) იქნას დაფარული. ხაზგასასმელია პროგრამის მიერ შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების შთამბეჭდავი არჩევანით შემდეგი მიმართულებებით: *პოლიტიკური თეორია; შედარებითი პოლიტიკა, რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა; საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება; სამოქალაქო განათლება და აქტივიზმი.*

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო ნაწილი მოიცავს საბაკალავრო ნაშრომსაც (10 კრედიტის მოცულობით). აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებიც დაცვის მიზნით, საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე სტუდენტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს პლაგიატის დეტექციის პროგრამაში (Turnitin). იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება გადაცდომებს, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური

განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება და/ან სტატუსის შეწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შემოთავაზებულ სასწავლო კურსებს შორის იკვეთება კონცეპტუალური ბმა, სადაც სტუდენტი ფაკულტეტის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსების გავლის შედეგად, თვითონ ირჩევს 3 შესავალ სასწავლო კურსს 5 შემოთავაზებული კურსიდან. აღნიშნული სტუდენტს ხელს უწყობს დარგის ინტერდისციპლინური ხასიათის ეფექტიანად ათვისებაში. მისასალმებელია, დამატებითი 10 კრედიტის (2 არჩევითი სასწავლო კურსის) გათვალისწინება ისეთი სასწავლო კურსების შესწავლისთვის, როგორიცაა „გამოყენებითი ეკონომიკა“, „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“; „ლოგიკა“; „ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია“; „მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)“; „ფილოსოფიის საფუძვლები“; „საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო“.

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი სუბ-დისციპლინების ობიექტებსა და განვითარების დინამიკის შესწავლის ნაწილში მეტად ეფექტიანი უზრუნველყოფისთვის საჭიროა საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ეკონომიკა“ გახდეს სავალდებულო, ასევე პროგრამის სავალდებულო კომპონენტს დაემატოს პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები/შესავალი, რათა

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შინაარსის უფრო ეფექტიანი ათვისებისათვის, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები რიგი საგნების შემთხვევაში: როგორც სავალდებულო სასწავლო კურსების „პოლიტიკური კომუნიკაცია“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, ისე არჩევითი სასწავლო კურსების „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“, „პოლიტიკური ანტროპოლოგია“, „დემოკრატია და მოქალაქეობაა“, „პოლიტიკური კულტურა“, „დემოკრატიზაცია და ტრანზიცია“ შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“; „გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები“ არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს „მსოფლიო პოლიტიკა“; „კავკასიის შედარებითი პოლიტიკის“ არჩევით სასწავლო კურსს წინაპირობად დაემატოს „შედარებითი პოლიტიკა“.

მისასალმებელია, რომ პროგრამის მეთოდოლოგიური კომპონენტი ინტეგრირებულია როგორც საფაკულტეტო, ისე ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებში, მაგალითად, „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“, „პოლიტიკის კვლევის მეთოდები“, „საბაკალავრო კვლევის დიზაინი“, რაც სტუდენტს ნამდვილად აძლევს საშუალებას, საბაზისო ცოდნა შეიძინოს არამხოლოდ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით, არამედ სოციალურ მეცნიერებათა დისკუსიის თვალსაზრისით. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსის ერთობლიობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის წერის პროცესში კვლევითი მეთოდოლოგიის ადეკვატურ შერჩევას ხელმძღვანელის დახმარებით.

ბაკალავრიატის საფეხურზე სხვა პროგრამებისთვის შემუშავებულია პოლიტიკის

მეცნიერების საბაკალავრო დამატებითი (მაინორ) პროგრამის სასწავლო კურსები 60 კრედიტის მოცულობით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და კონცეპტუალური მიდგომა შეესაბამება სწავლების საფეხურს. როგორც ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დასტურდება პროგრამის შესაბამისობა პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ჩატარებული ინტერვიუები პროგრამის შემუშავებაშ და განხორციელებაში ჩართულ პირებთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ეკონომიკა“ და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ გახდეს სავალდებულო, რათა უკეთ იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი სუბ-დისციპლინების ობიექტებსა და განვითარების დინამიკის შესწავლის ნაწილში; ○ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შინაარსის უფრო ეფექტიანი ათვისებისათვის, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები რიგი საგნების შემთხვევაში: როგორც სავალდებულო სასწავლო კურსების „პოლიტიკური კომუნიკაცია“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“, ისე არჩევითი სასწავლო კურსების „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“, „პოლიტიკური ანროპოლოგია“, „დემოკრატია და მოქალაქეობაა“, „პოლიტიკური კულტურა“, „დემოკრატიზაცია და ტრანზიცია“ შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“; „გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები“ არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს „მსოფლიო პოლიტიკა“; „კავკასიის შედარებითი პოლიტიკის“ არჩევით სასწავლო კურსს წინაპირობად დაემატოს „შედარებითი პოლიტიკა“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ *საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია* პროგრამის მიერ შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების შთამბეჭდავი არჩევანით შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური თეორია; შედარებითი პოლიტიკა, რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა; საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება; სამოქალაქო განათლება და აქტივიზმი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტის, ისე შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების ხარისხის შეფასება სტუდენტების მიერ, რაც იძლევა კურსების შინაარსის, მეთოდოლოგიური მხარის გაუმჯობესების საშუალებას. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს, სწავლების ფორმატს და კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში კურსებს გააჩნიათ კრედიტებით შესაბამისი დატვირთვა, დამოუკიდებული და საკონტაქტო საათების გადანაწილება, ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი. მისასალმებელია, რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა, *„პოლიტიკა, მედია და საზოგადოებრივი აზრი“, „პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები“, „საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია“, „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში’ და სხვა,* საკონტაქტო საათების

გადანაწილება ისე, რომ სტუდენტებმა შესწავლილი მასალა უკეთ აითვისონ დებატების, დისკუსიების ან/და პრაქტიკული დავალებების ფარგლებში (სემინარისთვის ან პრაქტიკული მეცადინეობისთვის გამოყოფილი 2 საკონტაქტო საათი 3-დან).

ხაზი უნდა გაესვას როგორც სოციალურ მეცნიერებათა, ისე პოლიტიკის კვლევის მეთოდების სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული დავალებების სისტემატიურ ხასიათს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის მიერ მონაცემთა ეფექტიან დამუშავებას, კვლევისათვის აქტუალური საკვლევი საკითხების ხელმძღვანელის დახმარებით შერჩევას, კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიულ ჩარჩოს განსაზღვრას და არგუმენტირებულად დასაბუთებას, კვლევის დიზაინის აგებას.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია საკვანძო როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში სტუდენტს საშუალებას აძლევს, დაეუფლოს პოლიტიკის მეცნიერების აქტუალური საკითხების საფუძვლიან შესწავლას, ასევე საბაკალავრო ნაშრომის დაგეგმვას და განხორციელებას ხელმძღვანელის ჩართულობით. ინტერვიუების, ასევე თსუ-ს ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის ფარგლებში ლიტერატურის განახლება ხდება სისტემატიურად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამავე დროს, ისეთ სასწავლო კურსებში, რომლებიც მიმართულია ხშირად ცვლებადი პროცესების შესწავლაზე (მაგ.ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია; რეგიონალური პოლიტიკის სასწავლო კურსები), და ქართულენოვანი ლიტერატურის განახლება პრობლემურია, სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გზამკვლევების, ასევე წამყვანი ანალიტიკური ცენტრების პოლიტიკის დოკუმენტების, ანალიტიკური ნაშრომების გამოყენება, რომლებშიც ასახულია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ბოლო ვითარებების მიმოხილვა/ანალიზი.

ყურადღება მისაქცევია, რომ „საბაკალავრო ნაშრომის“ შეფასების ფორმები წარდგენილია 2 რეცენზენტის შეფასებით - ჯამში 60 ქულა (30-30 ქულა) და შემდგომ კომისიის შეფასებით - 40 ქულა. მიგვაჩნია, რომ სტუდენტის მიერ განხორციელებული კვლევითი სამუშაოს მეტად სრულყოფილი შეფასებისათვის, საჭიროა ასევე ხელმძღვანელის შეფასების გათვალისწინება. ზუსტად ხელმძღვანელია ჩართული კვლევის დაგეგმვის და მეთოდოლოგიის შერჩევის ეტაპზე, რაც მას საშუალებას აძლევს, ადეკვატურად შეაფასოს სტუდენტის პროგრესი კვლევის პროცესში.

ყურადღება მისაქცევია იმ გარემოებას, რომ რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „არჩევნები და საზოგადოება“, „გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში“, „გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა“, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა“, „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ და სხვა, აქტივობის კომპონენტის შეფასებაში ცალკე ენიჭება ქულა დასწრებას, რაც საჭიროებს გადახედვას.

მისასალმებელია, რომ სასწავლო კურსების უმეტესობის შემთხვევაში სტუდენტის შეფასების პროცესში აქცენტი კეთდება მრავალფეროვან შეფასების კომპონენტებზე,

როგორიცაა დისკუსია, დებატები, დახურული, ღია კითხვები, ქვიზები, პრეზენტაციები, არგუმენტირებული, ანალიტიკური ესსე და ა.შ. ხაზგასასმელია, ისეთი შეფასების კომპონენტების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის შეფასებას პრაქტიკული, ანალიტიკური კომპონენტების მეშვეობით (რაც თავისთავად ეხმიანება დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციებს), მაგალითად, პოლიტიკური კომუნიკაციის სასწავლო კურსის შემთხვევაში - შემთხვევების ანალიზი, პოლიტიკური ანთროპოლოგიის შემთხვევაში - ანალიტიკური ნაშრომი, დემოკრატია და მოქალაქეობის არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში - პროექტის წერილობითი ანგარიში, საჯარო პოლიტიკის სავალდებულო სასწავლო კურსის შემთხვევაში - ანალიტიკური ესე, სპეციალიზებული ინგლისური ენის სასწავლო კურსის შემთხვევაში - აკადემიური სტატიის დამუშავება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში; ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა.
რეკომენდაციები: ○ რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „არჩევნები და საზოგადოება“, „გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში“, „გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა“, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა“, „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ და სხვა, რეკომენდებულია, აქტივობის კომპონენტის შეფასების გადახედვა (დასწრებას ენიჭება ცალკე ქულა).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებს დაემატოს ხელმძღვანელის შეფასება გარდა 2 რეცენზენტის და კომისიის შეფასებისა. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ განხორცილებული კვლევის, მისი თითოეული ეტაპის, განსაკუთრებით კვლევის დიზაინის დაგეგმვის, ადეკვატურ, უწყვეტ და ეფექტიან შეფასებას; ○ ისეთ სასწავლო კურსებში, რომლებიც მიმართულია ხშირად ცვლებადი პროცესების შესწავლაზე (მაგ.ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია; რეგიონალური პოლიტიკის სასწავლო კურსები), და ქართულენოვანი ლიტერატურის განახლება პრობლემურია, სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გზამკვლევების, ასევე წამყვანი ანალიტიკური ცენტრების პოლიტიკის დოკუმენტების და ანგარიშების გამოყენება, რომლებშიც ასახულია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ბოლო ვითარებების ანალიზი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ს(ს)იპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარებით განვითარებას.

უსდ-ს გააჩნია მნიშვნელოვანი გამოცდილება სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების ორგანიზებაში. მასპინძლობს და ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით ღონისძიებებში. აქტიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს. აღსანიშნავია, რომ მოცემული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში და თსუ-ს მიერ ორგანიზებულ ასევე ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. გარდა ამისა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრონულად გამოდის „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“, სადაც, მოცემული პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნიერო სტატიები. პროგრამის სტუდენტებისთვის სტიპენდიის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს სამეცნიერო აქტივობები (სტიპენდიის ჯამური ქულის 20% სწორედ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო სტატიების რაოდენობით გამოითვლება). ყოველივე ეს გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ პროგრამა ეფექტურად მუშაობს სტუდენტთა კვლევითი და ანალიტიკური, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. ინტერვიუმ ასევე ცხადყო, რომ სტუდენტს პრაქტიკული თუ კვლევითი ხასიათის პროექტებში მონაწილეობისას ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელთაც შეუძლიათ მათი განმავითარებელი შეფასება.

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა ორიენტირებულია უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარება და/ან მათ

შესაბამის პროექტებში ჩართვა. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პროფესიული უნარების მიღწევას ემსახურება პროგრამაში ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსების არსებობა, როგორიცაა „აკადემიური წერა“, და საბაკალავრო ნაშრომი. უშუალოდ კვლევითი უნარების განვითარებისთვის პროგრამაში სამი სავალდებულო საგანია წარმოდგენილი, მათ შორისაა: პოლიტიკური კვლევის მეთოდები, საბაკალავრო კვლევის დიზაინი და საბაკალავრო ნაშრომი. პირველ ორ შემთხვევაში, სტუდენტები რეგულარულად ამზადებენ საბაკალავრო ნაშრომის ცალკეულ კომპონენტებს, რაც კვლევითი და სამეცნიერო უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარების საკითხებს ფარავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო კონფერენციებში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): *საუკეთესო პრაქტიკად* მიგვაჩნია საბაკალვრო პროგრამის სტუდენტებისთვის შემოთავაზებული საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციების რაოდენობა, რომელიც ორგანიზებულია უნივერსიტეტის მიერ როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); წიგნსა და წყაროზე მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი (მულტიმედიური საშუალებებით); ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა (case study); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. ვიზიტის დროს გამოიკვეთა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას. ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები (სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, ცალკეული უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები რაც დასტურდება უნივერსიტეტში შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით. საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების, სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ ძირითადად გამოყენებულია, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის ვალიდური, პირველადი ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები, დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1); ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ში ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და თსუ-ს შიდა რეგულაციებთან. სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე შემფასებლებისათვის. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისშივე. თითოეულ სასწავლო კურსში შეფასება მორგებულია სწავლების შინაარსსა და ითვალისწინებს მოცემული კურსის სპეციფიკას. პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ელექტრონული სწავლების პლატფორმა e-learning.tsu.ge ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალურად გაეცნოს შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული პლათფორმა უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, სასემინარო წერითი სამუშაოებს, საშინაო (პრაქტიკული) დავალებებს, ზეპირი პრეზენტაციებს, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასების გზით. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინი-მალური კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის

შედეგების მიღწევისაკენ. სწავლების პროცესში სტუდენტი ასევე წარადგენს საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც ფასდება 100 ქულით. ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი სახით: პირველი რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა, მეორე რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა, ზეპირი წარდგენა - 40 ქულა. ზეპირ წარდგენაზე სტუდენტს ორი რეცენზენტის შეფასების შემდეგ დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა. საბაკალავრო ნაშრომის ზეპირი გზით წარდგენა ფასდება საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიის წევრების მიერ. ზეპირ წარდგენაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულას შეადგენს. როგორც ონლაინ-ვიზიტისას გამოიკვეთა, სტუდენტები გარდა აღნიშნული შეფასების სისტემისა, ასევე კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც.

ვიზიტის განმავლობაში, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი და ახალი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები ასევე კარგად იცნობენ მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. გასაჩივრების შემთხვევაში თსუ-ს მხრიდან ხორციელდება სტუდენტის კოკნრეტული აქტივობის ხელახალი შეფასება ჯერ მოცემული საგნის ლექტორთან, ხოლო შემდგომი საჩივრის შემთხვევაში - სააპელაციო კომიტეტთან (ლექტორთა საბჭო).

აქვე ხაზგასასმელია, რომ ონლაინ ვიზიტმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის თაობაზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მექანიზმით. კერძოდ, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარული ონლაინ-კონსულტაციების მეშვეობით აცნობს აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების მექანიზმებს. მოცემული მიმართულებით, ასევე პერიოდულად ტარდება ვიდეო-ტერინინგები, რომლის მეშვეობითაც ხდება შეფასების სისტემის გაცნობა შემფასებლებისათვის. გარდა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურისა, ასევე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები ატარებენ რეგულარულ კონსულტაციებს აკადემიურ პერსონალთან, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს დეტალურად ეცნობა არსებული გაიდლაინები ელექტრონული შეფასების სისტემისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ელექტრონული სწავლების პლათფორმა “e-learning” (e-learning.tsu.ge).
- დადგენილება №100/2019 - სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ; ○ ტრეინინგების კალენდარი (https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები მოცემული პროგრამის ფარგლებში იღებენ ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. მოცემულ პროცესში სტუდენტებს დახმარებას უწევენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ სტუდენტისა და კურსდამთავრებულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. განსაკუთრებით ინფორმატიულია პირველსემესტრელთა კვირეულის ფარგლებში გამართული კონსულტაციები, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ, აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. კონსულტაციისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეხვედრები, ელ-ფოსტა, ელექტრონული სასწავლო პორტალი LMS-ი და ოფიციალური სოციალური ქსელები. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი თვითშფასების პროცესში. მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე წელიწადში ერთხელ მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. თსუ-ს ცენტრალური ხარისხის სამსახური ასევე ატარებს ყოველკვირეულ საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან. ასევე ინდივიდუალურად ხდება ანონიმური გამოკითხვის ფორმის დაცვით სტუდენტთა გამოკითხვა თავად კურსის ლექტორის მიერ. უშუალოდ პროგრამის გაუმჯობესების კუთხით, თვითშეფასების პროცესებში სტუდენტთა აქტიური ჩართულობის შედეგად, პროგრამას დაემატა რიგი სავალდებულო საგანი, განახლდა ლიტერატურა, განისაზღვრა რიგი სასწავლო კურსის წინაპირობა. უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სასწავლო პორტალის ადმინისტრირების სისტემის (admin.lms.tsu.ge) მეშვეობით სტუდენტი ერთვება უნივერსიტეტის შიდა

საინფორმაციო სივრცეში. ამასთანავე მოცემულ პორტალზე სტუდენტები რეგისტრირდებიან და ირჩევენ სასწავლო კურსებს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. ასევე, თსუ-ის ვებ გვერდზე განთავსებული „სტუდენტური გზამკვლევის“ მეშვეობით სტუდენტს საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია თსუ-ში მოქმედი ნებისმიერი რეგულაციების შესახებ. გარდა იმისა, რომ მოცემული საშუალებების გამოყენებით, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და სასწავლო მასალების შესახებ, მათ ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო დეპარტამენტსა და კანცელარიის მეშვეობით დაფინანსების, კვლევითი პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების თაობაზე.

თუმცა, როგორც ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტებსა და აკადემიურ პესონალს შორის სასწვალო პროცესთან დაკავშირებით გამოყენებული კომუნიკაციების გზების მრავალფეროვნება გარკვეულ ხარვეზს წარმოშობს დროის ეფექტიანად მართვის მიზნით. მაგალითად ამათუ იმ კურსის სწავლების პროცესში მიმოწერა და ინფორმაციის მიწოდება შეიძლება ერთდროულად ხორციელდებოდეს როგორც ელექტრონული პლათფორმის, ასევე ოფიცალური ელ-ფოსტისა და სოციალური ჯგუფის მეშვეობით. დროის მენეჯმენტის მიზნით სასურველია მოხდეს სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის მთავარი საკომუნიკაციო სისტემის უნიფიცირება და არჩეული იქნას ერთი კონკრეტული მექანიზმი იქნება ეს ელექტრონული პლათფორმა თუ ელ-ფოსტა, რომლის გამოყენების თაობაზეც პროგრამის დასაწყისშივე ეცნობებათ როგორც სტუდენტებს ასევე სასწავლო პერსონალს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხაზგასასმელია რომ სტუდენტებს საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და გრანტების თაობაზე. აქტიური კომუნიკაციის შედეგად პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართულნი იქნენ სხვადასხვა სახის კვლევით და საგრანტო პროექტებში. მაგალითად მონაწილეობდნენ რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში, ჩართულნი იყვნენ ფაკულტეტის სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ამზადებდნენ სტატიებს აკადემიურ პერსონალთან ერთად (სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში) და მონაწილეობდნენ საუნივერსიტეტო კონფერენციებში (სტუდენტები იყვნენ 2017-2020 წლებში ჩატარებული 77-ე, 78-ე, 79-ე და მე-80 საუნივერსიტეტო კონფერენციების მონაწილეები) და გაცვლით პროგრამებში (მაგალითად მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ საფრანგეთისა და იტალიის ინუვერსიტეტვბის გაცვლით პროგრამებში). მოცემული კუთხით აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე შექმნილია კრედიტების აღიარების კომისია, რომელიც თსუ კრედიტების აღიარების მიზნით ადგენს სტუდენტის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას. ამასთანავე მოცემული პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია, მოხდეს უცხოეთში მოსმენილი სასწავლო კურსების აღიარებაც.

ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს პროგრამის გამორჩეულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დასაქმდნენ ან/და სტაჟირება გაიარონ იმ

კვლევით ცენტრებში, რომლებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტი. მოცემული კუთხით სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით თსუ-ში მოქმედებს კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი, რომელიც პერიოდულად გეგმავს ტრენინგებსა და სემინარებს სტუდენტთა პროფესიული და კარიერული მხარდაჭერის მიზნით. ამასთან, პერიოდულად ეწყობა დასაქმების ფორუმები. თუმცა სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის მხრიდან საქართველოში არსებულ საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებით დაინტერესებულ იმ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობა, რომლებთანაც ამჟამად თანამშრომლობს უნივერსიტეტი. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობის გამრავალფეროვნებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ელექტრონული სასწავლო პორტალის ადმინისტრირების სისტემა (admin.lms.tsu.ge) ○ თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ სამეცნიერო აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კონფერენციები, გრანტები, კვლევითი პროექტები); ○ სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია მოხდეს სასწავლო პერსონალსა და სტუდენტებს შორის სწავლის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების გზების უნიფიცირება, რაც უზრუნველყოფს დროის სწორ მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესის მაქსიმალურად ეფექტიანად წარმართვას; ○ უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაღრმავდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობები, რათა სტუდენტებს მიეცეთ საკუთრი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 70 კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. რომელთა შორის 36 აკადემიური (36 აფილირებული) და 34 მოწვეულია. პროგრამაზე ამჟამად 345 აქტიური სტუდენტი ირიცხება, პერსონალსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა დაახლოებით 1/5-ია, რაც შეესაბამება უსდ-ში მოქმედ პერსონალთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიასა და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასთან. პერსონალთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობას ისე, რომ ამ მიმართულებით პროგრამამ მიაღწიოს სრულყოფილ შედეგს. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა, სტუდენტების ადგილების რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, მსოფლიო წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკა. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი - უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომელი, უნივერსიტეტის

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი - სასურველია შეადგენდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2/3-ს, რასაც სრულად პასუხობს პროგრამაზე არსებული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა.

უსდ-ში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“, მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს, კერძოდ,

ამავე დოკუმენტშია აღწერილი კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღბის პროცესი.

ასევე, უსდ-ში მოქმედებს დადგენილება „საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მხიედვითაც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევას მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოკვლევით მიღებული მონაცემების საფუძველზე ახორციელებენ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის/მიმართულების/ ინსტიტუტის/კათედრის/ცენტრის ხელმძღვანელი მოსაწვევი პირის (კანდიატის) ავტობიოგრაფიის, კვალიფიკაციისა და შესაბამისი შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მონაცემების შესწავლის საფუძველზე.

უსდ-ს მიერ განსაზღვრულია „აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები“, რომლის მხიედვითაც აფილირებული პერსონალი აკაყოფილებს შემდეგ პირობებს: : ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება თსუ-ს; აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/ სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებიდან, ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტებით, გამოკითხვებითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით

განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. ასევე, სამეცნიერო კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ფლობს ამომწურავ ინფორმაციას და მისი კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი https://www.tsu.ge/data/file_db/orders/118-danarti1.pdf; • აკადემიური/სამცნიერო პერსონალის პირადი საქმეები; • პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი); • აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი); • აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი); • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პირადი საქმე; • ფაკულტეტის დებულება; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში; • პერსონალის განვითარების ღონისძიებები და თვითრეფლექსია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ. პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით რომლის მიხედვითაც, მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური/პროფესიული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, რის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეგმავს რამდენიმე ტიპის აქტივობას: მათ შორისა, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგები და სემინარები (ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება). აღნიშნულ ღონისძიებებში დასწრება მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. განვითარებისთვის განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ა) სასწავლო კომპონენტი; ბ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ფაკულტეტის მიერ მომზადებულ ონლაინ სასწავლო პლატფორმების (LMS, ZOOM, Moodle) ოპერირებისა და მართვის ტექსტურ და ვიდეო-ტუტორიალთა სერიას, რაც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვას და დროულ, ეფექტურ განხორციელებაში. ამასთან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს სახელმძღვანელოების კონკურსი, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებისთვის სახელმძღვანელოს შექმნას. აღნიშნული საგრანტო პროექტი საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტად მიღწევადი გახადოს და სასწავლო კურსის შინაარსი უფრო ხელმისაწვდომი და სასწავლო კურსის მიზნებთან შესაბამისი იყოს. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი გულისხმობს ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ ორგანიზებასა და ამავე სახელწოდების სამეცნიერო ჟურნალის არსებობას. ასევე, აღსანიშნავია საფაკულტეტო მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი, რაც გულისხმობს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და აქტიური აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით სამეცნიერო კვლევის დაფინანსებას წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. უსდ-ში მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც, პერსონალს საშუალება აქვს, ინტეგრირდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა), რომლის მიხედვითაც პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულება გამოირჩევა საერთაშორისო თანამშრომლობით. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროექტების/პარტნიორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მობილობისა და პროექტების მხრივ). საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უსდ გეგმის მიხედვით უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას. ასევე, უსდ-ს პერსონალს საშუალება აქვს პროფესიული მიმართულებით განვითარდეს და აქტიური როლი შეასრულოს ინტერნაციონალიზაციის პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ-ს მიერ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევისა და გამოკითხვის შედეგები; • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; • საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დონეზე სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი აქტივობები; • ფაკულტეტის დებულება; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში; • საერთაშორისო ან/და სამეცნიერო/კვლევით პროექტებში კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი; • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა (სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, კომპიუტერული რესურს–ცენტრები და სხვ.) უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას ემსახურება და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს.

უსდ-ში ხელმისაწვდომია შემდეგი რესურსი:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა ფაკულტეტთან არსებული ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები);
- კომპიუტერები ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკიდან შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ ბაზებზე წვდომა: EBSCO; JSTOR; Scopus; WoS და სხვა.

უსდ-ში მოქმედებს ელექტრონული სასწავლო პროცესის პორტალი lms.tsu.ge, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია ლექტორსა და სტუდენტს შორის, ხდება საგნებისა და ცხრილის განთავსება, მასშივე აისახება შეფასება და ა.შ.

გამოკითხვების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები განიცდიან ელექტრონული მასალების ნაკლებობას. რიგ შემთხვევებში, ხდება პერსონალის მიერ ელექტრონული სასწავლო მასალის გვიან ატვირთვა. სასურველია, უსდ-მ სტუდენტები უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო მასალით.

ასევე, პროგრამისთვის შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და მასალის დათვალიერებისას, გამოიკვეთა უცხოენოვანი სახელმძღვანელოების სიჭარბე, რაც დადებითი მაჩვენებელია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა - https://tsu.ge/ka/library/page/894 ;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://e-learning.tsu.ge/);
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://lms.tsu.ge/);
- ელექტრონული კატალოგი/საბიბლიოთეკო ფონდი (https://www.tsu.ge/ka/library);
- მულტიმედია ცენტრი (http://multimedia.tsu.edu.ge/).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უსდ-მ სტუდენტები უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო მასალით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ბიუჯეტიდან, რომელიც თსუ–ის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილია. წარმოდგენილი ფინანსური მონაცემების მიხედვით, ბიუჯეტის ძირითად სახარჯო მიმართულებებად განსაზღვრულია შრომის ანაზღაურება, მივლინებები, სესიები, სემინარები და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში სხვა და სხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და სხვა დაფინანსების ხარჯები. თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ არის მზარდი, მდგრადი და უზრუნველყოფს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მათ შორის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ს ბიუჯეტი; ○ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების	☒			

რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დისკუსიის წარმართვის მიზნებისათვის.

უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში,

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტურმა ფუნქციონირებამ და დაინტერესებულ მხარეთა მაღალმა ჩართულობამ დადებითი გავლენა იქონია პროგრამის განვითარებისა და სააკრედიტააციოდ მომზადების პროცესში, რაც ნამდვილად მისასალმებელი პრაქტიკაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- შიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის შესახებ;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტური ფუნქციონირება და შიდა ექსპერტიზა დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის განვითარების კომიტეტსა და გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა. მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა რომ პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა მალმოს უნივერსიტეტის პროფესორსა და პიტსბურგის უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორთან. მხარდაჭერის წერილების შესაბამისად, პროგრამა შეფასდა როგორც თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი, გამორჩეულად აღინიშნა კურიკულუმის მრავალფეროვნება და პერსონალის კვალიფიკაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;
- საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და შედარება - პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა;
- მხარდაჭერის წერილები;
- ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს რეგულარულად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ასევე ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილია პროგრამების

კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებში პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. შესწავლილი ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარების შედეგად, გამოიკვეთა პროგრამის მნიშვნელობა და უპირატესობები. ვინაიდან პროგრამა სააკრედიტაციო რეჟიმშია, პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით რეაკრედიტაციისათვის გათვალისწინებული იქნება რიგი ცვლილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.
○ **მტკიცებულებები/ინდიკატორები** ○ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; ○ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ○ შიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის შესახებ; ○ პროგრამის გარე შეფასება და მხარდაჭერის წერილები; ○ ანალოგი პროგრამების შესწავლის ანალიზი; ○ ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ივანნა მაჩიტიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა. ირაკლი გორგილაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა. დავით გეგეჭკორი

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა ფირცხელანი